

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი N2

ქ. თბილისი

10 ივლისი 2015 წ.

შესყიდვის საგანი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ქ. ხაშურში, სააკაძის ქ. N2-ში მდებარე შენობის (ყოფ. საავადმყოფო) ელექტრომომარაგებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1716) საშუალებით.

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობდა:

- შოთა რეხვიაშვილი

მინისტრის მოადგილე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

საკონკურსო კომისიის წევრები:

- გოგი ფაცაცია

- ირაკლი დიხამინჯია

- ბესარიონ ბუჩუკური

- ირაკლი უჯმაჯურიძე

- მურად აბლოთია

მინისტრის მოადგილე
განსახლების ობიექტების ტექნიკური
ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი
საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
დევილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

- ნოდარ ყოჩიშვილი

- გიორგი კველიშვილი

- ნინო მენტეშაშვილი

- მაიკო მიქაია

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით
უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

მივლინებაში ყოფნის გამო, კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარე - გრიგოლ გიორგაძე და კომისიის წევრები: გვანცა შენგელა, კახაბერ პეტრიაშვილი და მამუკა ცოტნიაშვილი.

დღის წესრიგი:

ქ. ხაშურში, სააკაძის ქ. N2-ში მდებარე შენობის (ყოფ. საავადმყოფო) ელექტრომომარაგებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე კონკურსში (N1716) მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

საკონკურსო კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ საკონკურსო კომისიის წარუდგინა სამინისტროს მიერ 2015 წლის 30 ივნისს გამოცხადებულ კონკურსში (N1716) მონაწილე კონკურსანტის მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია და აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2015 წლის 07 ივლისს, 14:00 საათზე;

კონკურსში (N1716) მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა:

1. ი.მ „გიორგი ხუციშვილი“

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადება წარმოდგენილია დალუქული კონვერტით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში.

კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტის გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა საკონკურსო კომისიის წევრებს.

საკონკურსო კომისიამ განიხილა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილეს ვინაობა, საკონკურსო კომისიის წევრები, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები ვალდებული არიან წერილობით დაადასტურონ, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტის მიერ დალუქული კონვერტებით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი.

1. ი.მ „გიორგი ხუციშვილი“ - 1998.00 ლარი;

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს ი.მ „გიორგი ხუციშვილი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და აღნიშნეს, რომ საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. ი.მ „გიორგი ხუციშვილი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

2. კონკურსში (N1716) გამარჯვებულად გამოვლინდა ი.მ „გიორგი ხუციშვილი“-ს საკონკურსო წინადადება;

3. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:

3.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

3.2. გამარჯვებულ კონკურსანტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობდა:

შოთა რეხვიაშვილი

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

ნოდარ ყოჩიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

გიორგი კველიშვილი

მამუკა ცოტნიაშვილი

ნინო მენტემაშვილი

გოგი ფაცაცია

მაიკო მიქაია

ბესარიონ ბუჩუკური

ირაკლი დიხამინჯია

ირაკლი უჯმაჯურიძე

მურად აბლოთია

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

10 ივლისი 2015 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2015 წლის 30 ივნისს გამოცხადებულ კონკურსში (N1716) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:

ქ. ხაშურში, სააკაძის ქ. N2-ში მდებარე შენობის (ყოფ. საავადმყოფო) ელექტრომომარაგებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის საშუალებით.

საკონკურსო კომისიას თავმჯდომარეობდა:

შოთა რეხვიაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

მამუკა ცოტნიაშვილი

გოგი ფაცაცია

ბესარიონ ბუჩუკური

ირაკლი დიხამინჯია

ირაკლი უჯმაჯურიძე

მურად აბლოთია

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

ნოდარ ყოჩიშვილი

გიორგი კველიშვილი

ნინო მენტემაშვილი

მაიკო მიქაია